საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7253
31/08/2023

7253-21-2-202308311600

შპს „დამირ 2017“-ს
მის: ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ., N 94ა, ბ. 40
ელ. ფოსტა: Shota776.sm@gmail.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7511 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ნარუჯაში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მე-8 გვერდზე მითითებულია რომ საპროექტო ტერიტორიაზე მიმდინარეობს სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით (განხორციელებული სამუშაოების მითითებით);
- დოკუმენტის მე-3 თავში აღნიშნულია, რომ სარწყავი წყლის აღება განხორციელდება მდ. ვაზირიდან, თუმცა, დოკუმენტის მე-9 თავში მითითებულია, რომ „დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესისათვის ერთ-ერთ აუცილებელ რესურსს წარმოადგენს წყალი, რომელსაც ვიღებ მდ. „მავნედან“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს თუ რომელი ზედაპირული წყლის ობიექტიდან მოხდება წყალაღება;
- სკრინინგის განცხადების მე-4 თავში აღნიშნულია, რომ „მდ. ვაზირის ჰიდროლოგიური მონაცემები ცნობილია და საშუალო წლიური დებეტი შესართავთან შეადგენს 0,05 $მ^3$/წმ-ს (50 ლ/წმ)“, თუმცა, მოცემული არ არის აღნიშნული ინფორმაციის წყარო. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს მდინარის ხარჯების შიდაწლიური განაწილებისა და წყალმცირობის პერიოდის მინიმალური ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის აღწერა, სიტუაციური რუკის თანდართვით;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს წყალაღებისათვის გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობა;

- დოკუმენტის მე-10 თავში აღნიშნულია, რომ „ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან, სარწყავი სისტემის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან“, ხოლო მე-5 თავში მითითებულია, რომ „ფერტიგაციის რეზერვუარიდან მოცვის ნარგავებამდე ჩალაგდება 110, 90, 75, 40 მმ-იანი მილები, რომლებიც ჩაფლული იქნება 40 სმ სიღრმის ტრანშეაში“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ტრანშეის მოსაწყობად ამოღებული გრუნტისა და მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკისა და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო